ერთა ლიგა და საქართველო
(რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში)

მიხეილ სვანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლეთის
ისტორიის განყოფილების გამგე

იდეა მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და ომების თავიდან აცილებისა არ არის ახალი. ამაზე ოცნებობდნენ სხვადასხვა დროის გამოჩენილი მოაზროვნეები, მაგრამ მისი განხორციელება დიდი ხნის განმავლობაში ოცნებად რჩებოდა.

ცნობილმა ჰოლანდიელმა მეცნიერმა, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჰუგო გროციუსმა (1583-1649) ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური ტრაქტატი „ომისა და მშვიდობის სამართალი". იგი ასაბუთებდა, რომ დავა სახელმწიფოებს შორის შეიძლება გადაწყდეს მორიგებით, ამისათვის საჭიროა მხოლოდ დროდადრო მოდავე მხარეების შეხვედრა, ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მოლაპარაკება და შეთანხმება, ან გადაცემა სადავო საკითხისა მესამე სახელმწიფოსათვის გასარჩევად და გადასაწყვეტად. იგი წინადადებას იძლეოდა, დაარსებულიყო მუდმივი ორგანო საერთაშორისო დავის გადასაწყვეტად.

1713 წელს აბატმა სენ პიერმა (1658-1743) უტრახტის კონგრესზე წამოაყენა პროექტი „მუდმივი ზავის დასამყარებლად". ამ იდეას გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ცნობილმა მეცნიერებმა: ჟან-ჟაკ რუსომ, ლაიბნიცმა, ადამ სმიტმა და სხვ.

მშვიდობიანობის დაცვის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის პროექტი პირველად წამოაყენა ბენტამმა (1748-1832). მისი აზრით, უნდა დაარსდეს ერთა უმაღლესი ორგანიზაცია, შემდგარი სხვადასხვა სახელმწიფოების დელეგაციებისაგან და ამ ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს სადავო საკითხები; თავისი გადაწყვეტილება მან უნდა მოიყვანოს სისრულეში, ამისათვის საჭიროა, რომ მას ჰყავდეს საკმარისი სამხედრო ძალა.

რაც დრო გადიოდა, მშვიდობის დაცვის იდეა სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. იწერებოდა წიგნები, ბროშურები, იმართებოდა კრებები, იქმნებოდა მშვიდობის დაცვის საზოგადოებები, ეწყობოდა საერთაშორისო კონგრესები და სხვ.

მშვიდობის დაცვის პირველი ასეთი კონგრესი გაიმართა ლონდონში 1843 წელს, შემდეგ ბრიუსელში 1848 წელს, პარიზში – 1849 წელს, ფრანკფურტში – 1850 წელს, ჟენევასა და პარიზში – 1867 წელს, ასევე პარიზში – 1889 წელს, ლონდონში – 1890 წელს, ბერნში – 1892 წელს, შემდეგ კონგრესები თითქმის ყოველწლიურად ტარდებოდა, მაგრამ ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია და მოძრაობა თანდათან შესუსტდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ანტანტის სახელმწიფოებში დაიბადა ერთა ლიგის შექმნის იდეა. ეს იდეა ომის დაწყების პირველსავე წლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ინგლისსა და აშშ-ში. 1915 წლის დასაწყისში ინგლისში დაარსდა „ერთა ლიგის მომხრეთა საზოგადოება", რომელმაც იმავე წლის ივლისში გამოაქვეყნა თავისი პროგრამა.

1915 წლის 12 მაისს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ტაფტი კლივლენდში გამოვიდა სიტყვით, რომელშიც ჩამოაყალიბა ლიგის ძირითადი საფუძვლები მსოფლიოს განმტკიცების მიზნით.

1917 წლის ბოლოს ინგლისში იურისტებისა და დიპლომატების მონაწილეობით შეიქმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ლიგის წესდების პროექტი.

1918 წლის დასაწყისში შემუშავებულ იქნა აგრეთვე ლიგის ფრანგული პროექტი.

აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი

1918 წლის დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი სამშვიდობო საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მიზნით პარიზში ჩავიდა. მას გადასცეს ინგლისელებისა და ფრანგების მიერ შემუშავებული ერთა ლიგის პროექტები. 1919 წლის 23 იანვარს პარიზის კონფერენციაზე პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის თავმჯდომარეობით ერთა ლიგის წესდების შესამუშავებლად შეიქმნა სპეციალური კომისია. ამ კომისიამ საბოლოოდ დაადგინა ერთა ლიგის წესდების ტექსტი, რომელიც 1919 წლის 28 აპრილს მოწონებულ იქნა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე (18. 41).

ამავე დროს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ერთა ლიგის წესდება დართული ყოფილიყო ყველა იმ სამშვიდობო საზავო ხელშეკრულებაზე, რომლებიც დაიდებოდა ანტანტის სახელმწიფოებსა და დამარცხებულ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან.

1919 წლის 28 ივნისს ვერსალში დაიდო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება გერმანიასა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა არ დაამტკიცა ვერსალის საზავო ხელშეკრულება და ამით ავტომატურად უარი თქვა ერთა ლიგის წევრობაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა დიდი წვლილი შეიტანა ერთა ლიგის წესდების შემუშავებაში.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ერთა ლიგა" მიზნად ისახავდა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიან თანამშრომლობას და მათი უშიშროების უზრუნველყოფას.

ერთა ლიგის ძირითადი ორგანოები იყო: ასამბლეა და საბჭო, რომელიც შედგებოდა ოთხი მუდმივი (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) და არამუდმივი წევრებისაგან და სამდივნო, რომლის მეთაური იყო გენერალური მდივანი. ასამბლეის სესია ტარ-

დებოდა წელიწადში ერთხელ – სექტემბერში. ერთა ლიგის ადგილსამყოფელი იყო ჟენევა (შვეიცარია). თავდაპირველად ერთა ლიგის წევრი გახდა 31 სახელმწიფო და აგრეთვე ახლად დაარსებული სახელმწიფოები: გეჯაზი, ჰოლანდია და ჩეხოსლოვაკია.

სახელმწიფოთა მეორე ჯგუფს შეადგენდა ის ქვეყნები, რომლებიც მიიწვიეს, რათა დაუყოვნებლივ შესულიყვნენ ერთა ლიგაში. ასეთი იყო 13 სახელმწიფო: არგენტინა, ვენესუელა, ესპანეთი, კოლუმბია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პარაგვაი, სპარსეთი, სალვადორი, ჩილე, შვეიცარია და შვედეთი. 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში ესენი გახდნენ ერთა ლიგის წევრები.

მესამე კატეგორიას განეკუთვნებოდნენ მსოფლიოს დანარჩენი სახელმწიფოები. ერთა ლიგაში მათი მიღებისათვის საჭირო იყო ლიგის წევრების ორი მესამედის თანხმობა და ლიგის საბჭოს ერთსულოვანი დადგენილება (18. 41-43).

ერთა ლიგის საქმიანობაში დიდ როლს ასრულებდნენ ინგლისი და საფრანგეთი.

ერთა ლიგის დაარსების შემდეგ პარიზში მყოფმა საქართველოს დელეგაციის მთავრობის ხელმძღვანელმა კარლო ჩხეიძემ თხოვნით მიმართა ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს, რათა განეხილათ საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხი (14. 167).

1920 წლის 20 სექტემბერს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ერთა ლიგის საბჭოს მდივნისგან მიიღო წერილი, რომელშიც ატყობინებდა, რომ 15 ნოემბრისათვის ჟენევაში დანიშნულია პირველი კრება ერთა ლიგის წევრებისა და ამ კრებაზე დაისმება საქართველოს რესპუბლიკის ლიგის წევრად მიღების საკითხი.

საქართველოს მთავრობა ლიგის სამდივნოს აცნობებდა, რომ საქართველოს წარმომადგენლად დანიშნულია ამჟამად ევროპაში მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და ყველა საჭირო მასალა გაეგზავნება ერთა ლიგის საბჭოს (2. 1920 წ. 3/10, № 1310).

ხარიტონ შავიშვილი – საქართველოს წარმომადგენელი ერთა ლიგაში

საქართველოს მთავრობის მიერ ერთა ლიგისადმი გაგზავნილ მემორანდუმში ვკითხულობთ: „საქართველოს სურს, მხოლოდ იცნოს გაერთიანებულმა ერებმა ის დიდი მუშაობა, რომელიც მიმართულია თავისუფლებისა და დემოკრატიული წყობილების დამყარებისაკენ. გარდა ამისა, საქართველოს მხურვალე და გულწრფელი სურვილი არის მიიღოს თავიდანვე მონაწილეობა ლიგის საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისაკენ“ (9. 1920 წ. 7/12. № 167). შემდეგ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ „საქართველოს მიღება ერთა ლიგაში გაუადვილებს მას (ერთა ლიგას – მ. ს.) ამიერკავკასიის პოლიტიკის წარმოებას და ამავე დროს ასწევს თვით ლიგის ავტორიტეტს ამიერკავკასიაში, სადაც ამ ავტორიტეტის განმტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება“ (9. 1920 წ. 7/12. № 167).

მემორანდუმის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია საქართველოს ადგილი დემოკრატიისათვის ბრძოლაში: „საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ თვით პრინციპები, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ საერთაშორისო ცხოვრება, სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვენ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი ერის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდად, უნდა იქნეს მიღებული ის ერი, რომელიც მიისწრაფის თავისუფალ შრომისაკენ თავის სახლში, რომელიც არის მისი კანონიერი და უდავო მემკვიდრეობა“. (9. 1920 წ. 7/12. № 167).

ერთა ლიგაში ახალი სახელმწიფოების კანდიდატურების განსახილველად შეადგინეს საერთო კრების განსაკუთრებული V კომისია,

36 პირის შემადგენლობითა და ჩილეს დელეგაციის თავმჯდომარეობით.

საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და კოსტარიკის მილების შესახებ განცხადებები გადაეცა მე-3 ქვეკომისიას, რომლის თავმჯდომარე იყო მსოფლიოში ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი, ხოლო მისი წევრები იყვნენ რუმინეთის, ავსტრალიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და ჩინეთის წარმომადგენლები. ამ ქვეკომისიას უნდა შეესწავლა კანდიდატი ქვეყნების შემდეგი მონაცემები:

a) ლიგაში მილების შუამდგომლობის ფორმალური კანონი;

b) შუამდგომლობის აღმძვრელი მთავრობა ცნობილია თუ არა de jure, ან de facto და, სახელდობრ, რომელი სახელმწიფოების მიერ;

c) კანდიდატი არის თუ არა მტკიცე მთავრობისა და გარკვეული საზღვრების მქონე ერი; მდებარეობა და მოსახლეობა;

d) აქვს თუ არა სახელმწიფოს თავისუფალი მართვა-გამგეობა;

e) როგორია მისი განწყობა აქტებისა და დეკლარაციებისადმი, ანუ საერთაშორისო მოვალეობებისადმი. (1. 232).

25 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში ზურაბ ავალიშვილმა და შვეიცარიაში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მიხეილ სუმბათაშვილმა ფრ. ნანსენის ქვეკომისიას განმარტებები მისცეს აღნიშნულ საკითხებზე. მე-3 ქვეკომისიის დასკვნა კეთილგანწყობილი აღმოჩნდა საქართველოს კანდიდატურისადმი. საქართველოს მთავრობა მტკიცე მთავრობად იქნა მიჩნეული (1. 232).

2 დეკემბერს ერთა ლიგის V კომისიის წინასწარ სხდომაზე საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებულმა დადებითმა დასკვნამ, ნანსენისა და სხვების მცდელობის მიუხედავად, ვერ მოიპოვა უმრავლესობის მხარდაჭერა. დიდი ბრიტანეთის დელეგაციის წევრ ფიშერის წინადადებით გადაწყდა, საკითხი საქართველოს შესახებ განეხილათ ყოფილი რუსეთის იმპერიის დან-

არჩენ სახელმწიფოებთან ერთად. კომისიამ კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

a) რომ მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანაგრძნობით (avec favour – with sympathy), მაგრამ მდგომარეობა (sic) ნებას არ იძლევა საბოლოო დადგენილების გამოტანისას;

b) რომ კრების შემდგომი გადაწყვეტილების მოლოდინში ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო მნიშვნელოვან ტექნიკურ ორგანიზაციებში. (1. 232, 233; 3. 519, 520).

ეს დასკვნა განსახილველად გადაეცა ლიგის საერთო კრებას.

1920 წლის 16 დეკემბერს პლენარულ სხდომაზე განიხილეს კანდიდატი სახელმწიფოების ლიგაში მიღების საკითხი.

ცხარე კამათის შემდეგ ერთა ლიგაში მიიღეს ავსტრია, ბულგარეთი, კოსტა-რიკა, ფინეთი და ლუქსემბურგი, ხოლო მიღებაზე უარი ეთქვა ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და სომხეთს.

საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას აქტიურად დაუჭირა მხარი ფრიტიოფ ნანსენმა. მან თავის მხურვალე გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს – არა მარტო საქართველოსათვის, არამედ თვით ლიგისათვის – საქართველოსათვის ხელის შეწყობას, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

ამავე აზრის დასაცავად გამოვიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგატი რობერტ სესილი და დამსწრეთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევინა იმ მნიშვნელობას, რომელიც ექნება საქართველოს ლიგაში მიღებას (1. 232, 239; 3. 520, 521).

ამის შემდეგ სიტყვა აიღო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ფიშერმა. მან განაცხადა, რომ რასაც ნანსენი და სესილი ამბობენ, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ სიძნელედ რჩება საქართველოს დაცვა გარეშე თავდასხმებისაგან. უნდა ანგარიში გაეწიოს ამ ქვეყნის „მდგომარეობის" საშიშროებას. რომ არ არის აუცილებელი გრძნობებით გატაცება, არამედ საჭიროა საღი, ფხიზელი განსჯა, როგორც ეს სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებს შეეფერებათ – „ მე ვთხოვ ამ

ზურაბ ავალიშვილი

კრების დელეგატებს, რომელთაც სერიოზული კენჭრისყრა მოელით, დაუფიქრდნენ, მზად არიან თუ არა, მართლაც ურჩიონ თავიანთ მთავრობებს, გაუგზავნონ მატერიალური დახმარება ამ გულად პატარა სახელმწიფოს რუსეთის განაპირაზე, თუ განსაცდელი მოუახლოვდა მას" (1. 232, 234).

ფიშერის გამოსვლის შემდეგ დაიწყო კენჭრისყრა. მასში მონაწილეობდა 24 სახელმწიფოს წარმომადგენელი. საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის საჭირო იყო ორი მესამედი ანუ 16 ხმა. საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას ხმა მისცა ათმა, წინააღმდეგ – ცამეტმა (1. 234; 3. 522).

საქართველოს ხმა მისცა: სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ (ბოლივია). წინააღმდეგ ხმა მისცა: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, ინდოეთმა, ახალმა ზელანდიამ, ნიდერლანდებმა, იუგოსლავიამ, ჩეხოსლოვაკიამ. დანიამ, თავი შეიკავა და არ დაესწრო 18 სახელმწიფო (1. 234; 3. 522). „ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ საქართველოს არჩევა არსებითად შეუძლებელი გახადა" (3. 522).

ამრიგად, საქართველო არ იქნა მიღებული ერთა ლიგის წევრად, მაგრამ მას, რეზოლუციის თანახმად, საშუალება ეძლეოდა, მონაწილეობა მიელო მხოლოდ ამ ლიგის პრაქტიკულ ორგანიზაციებში, როგორიც იყო: ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხთა კონფერენცია, საერთაშორისო სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხთა კომიტეტი; შრომის საერთაშორისო ბიურო; მიმოსვლისა და ტრანსპორტის კომისია (1. 234; 3. 523).

კუბის დელეგატმა აგუერომ, რომელიც დიდ როლს ასრულებდა კენჭისყრის მომზადებაში, ზ. ავალიშვილსა და მ. სუმბათაშვილს მოგვიანებით კერძო საუბარში გულწრფელად განუცხადა: „ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავისი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღოთ საქართველო, რასაც მოითხოვდა კიდეც სამართლიანობა! მაგრამ თქვენ კარგად უწყით, რომ მსგავს საკითხებს სამართლიანობა არ წყვეტს! ლათინური ამერიკის რესპუბლიკებისათვის უხერხულია წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ საკითხებში, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნების სწორედ ამ ნაწილისათვის. ინგლისმა და საფრანგეთმა, თუნდაც მარტო ინგლისმა მოგცეთ ხმა და როგორც ერთი კაცი, ჩვენც ისე შევუერთდებოდით მას“ (1. 235).

ჟენევის კონფერენციაზე, ალიარა ზ. ავალიშვილმა, დიდი სახელმწიფოები გვარწმუნებდნენ, გვიკარნახებდნენ: „თუ საქართველოს გარედან ვინმე თავს დაესხა, არც ერთა ლიგა, არც მისი ნილბით მოქმედნი სახელმწიფონი არ დაიცავენ. მათ არ შეუძლიათ დაიცვან საქართველო. ასე განაცხადა საფრანგეთმა, ასე განაცხადა ინგლისმა: მათი ხმა უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე ნორვეგიისა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლების მოწოდება“ (1. 236).

რატომ გამოვიდა ინგლისი და საფრანგეთი ერთა ლიგაში საქართველოს მილების წინააღმდეგ? ერთა ლიგის მე-10 მუხლის მიხედვით, „ერთა ლიგის წევრები ვალდებული არიან პატივი მიაგონ და დაიცვან ყოველგვარი გარეშე თავდასხმისაგან ტერიტორიული მთლიანობა და არსებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა ერთა ლიგის ყველა წევრისა.

ზ. ავალიშვილის დაკვირვებით, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციამ საქართველოს არჩევა არსებითად შეუძლებელი გახადა (3. 522).

თავდასხმის ან თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში ლიგის საბჭო მიილებს საჭირო ზომებს ამ ვალდებულების შესასრულებლად. (1. 233, 234; 19. 35).

ამგვარად, თუ ერთა ლიგის წევრი ქვეყანა განიცდიდა აგრესიას, მისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ ლიგის სახელმწიფოებს.

ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელი გამოვიდა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგ. იგი თავის პოზიციას ასე ასაბუთებდა: საქართველო „საშიშ მდგომარეობაში" იმყოფება და საჭიროა მისი გარეშე მტრისაგან დაცვა". ინგლისის წარმომადგენელი კენჭრისყრის წინ დელეგატებს მოუწოდებდა საღი, ფხიზელი გონებით დაუფიქრდნენ – მზად არიან თუ არა ურჩიონ თავიანთ მთავრობებს, აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს, თუ იგი განსაცდელში აღმოჩნდება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება, მხარი დაუჭირონ საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას (1. 134).

ინგლისის მთავრობა ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობა იყო ამ დროს ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ვისგან ემუქრებოდა მას საფრთხე და, საზოგადოდ, როგორი იყო მდგომარეობა ამიერკავკასიაში. საბჭოთა რუსეთი არ იყო ერთა ლიგის წევრი და ყველაფერს აკეთებდა, რომ მეფის რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მათ შორის საქართველო, არ გამხდარიყვნენ ერთა ლიგის წევრები. საბჭოთა რუსეთი მიისწრაფოდა, აღედგინა მათზე თავისი ბატონობა. ეს უნდა მომხდარიყო მანამ, ვიდრე ეს სახელმწიფოები გახდებოდნენ ერთა ლიგის წევრები.

1920 წლის 24 სექტემბერს თურქეთსა და სომხეთს შორის დაიწყო ომი. 30 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს სარაყამიში, 30 ოქტომბერს – ყარსი, 7 ნოემბერს – ალექსანდროპოლი (გუმბრი). თურქეთის ჯარი საქართველოს საზღვრებს მოადგა. 12 ნოემბერს საქართველომ მობილიზაცია გამოაცხადა.

1920 წლის 9 ოქტომბერს ვ. ლენინმა ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობა ასე შეაფასა: „ახლახანს თურქებმა შეტევა დაიწყეს სომხეთის წინააღმდეგ ბათუმის დაკავების მიზნით, შემდეგ კი შესაძლებელია ბაქოსაც შეუტიონ" (7. 311, 339).

ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად ბაქოში საგანგებო რწმუნებით ი. სტალინი ჩავიდა. ადგილზე მდგომარეობის შესწავლის შედეგად ი. სტალინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმს საფრთხე ემუქრება არა თურქეთის, არამედ ანტანტისა და, კერძოდ, ინგლისის მხრიდან, რომელიც ალიანსში შევიდა საქართველოს მთავრობასთან. ი. სტალინი აცნობებდა ვ. ლენინს: „საქართველო ემზადება, ჩააბაროს ბათუმი და შეიძლება უკანდასახევი გზაც კი გაუხსნას ვრანგელს, აგრეთვე ბაქოს მიმართულებით შეტევისთვისაც" (7. 313; 4. 3230).

იმისათვის, რომ მიეღო ნებართვა საქართველოში ჯარების შეყვანისა, ი. სტალინმა განგებ გაავრცელა ხმები, თითქოს ინგლისის მთავრობა აპირებდა ბათუმის დაკავებას.

ი. სტალინი ბაქოდან ლენინს აცნობებდა: „თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმს..., მაშინ ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფეთქოთ გვირაბი სურამის გადასასვლელთან" (4. 331-333).

ამავე დროს, ი. სტალინი გ. ჩიჩერინს აცნობებდა, რომ „საჭიროა, ახლავე შევაგროვოთ ძალები საქართველოში შესაჭრელად" (4. 331-333).

ამგვარად, ი. სტალინი ამზადებდა ნიადაგს წითელი არმიის საქართველოში შესაჭრელად.

ამავე დროს, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოსა და ინგლისის მთავრობებს გაუგზავნა ნოტები, რომლებშიც რუსეთის მთავრობა აცხადებდა, რომ ინგლისი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით აპირებდა ბათუმის დაკავებას (12. 140, 141).

საქართველოს მთავრობამ თავის საპასუხო ნოტაში კატეგორიულად უარყო ინგლისისათვის ბათუმის გადაცემის შესაძლებლობა და განაცხადა, რომ ბათუმზე ვრცელდება საქართველოს სუვერენული ხელისუფლება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის მიერ გ. ჩიჩერინისადმი გაგზავნილ საპასუხო ნოტაში აღნიშნულია: საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კარგად უწყის, რომ ინგლისის მიერ

თითქოსდა ბათუმის დაკავების შესახებ გავრცელებულ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვს და ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ საპროპაგანდო მიზნით... აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, ეს რეგიონი, რომელიც შეადგენს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს, საფრთხეშია ჩავარდნილი, ამიტომ მისი უდიდებულესობის მთავრობა მოხარული იქნება, მიიღოს შესაფერისი დასტური საბჭოთა მთავრობის მხრიდან, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ბათუმის შესაძლო ოკუპაციის შესახებ (17. 111, 330, 344, 346).

ინგლისის მთავრობის ნოტამ, რომ თავად რუსეთს ჰქონდა განზრახული ბათუმის ოკუპაცია, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ასეთ ვითარებაში მოსკოვიდან ი. სტალინს აცნობეს, რომ გადაწყვეტილების მიღება „საქართველოს საზღვრებში შესვლის შესახებ ნაადრევია (4. 339).

ამგვარად, 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აშკარად არსებობდა საქართველოში წითელი არმიის შეჭრის საფრთხე. მოვლენათა სვლამ დაგვანახვა, რომ ეს საფრთხე საბოლოოდ არ მოხსნილა. 1920 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოიწონა გენერალ ჰევერის გეგმა საქართველოში წითელი არმიის შეჭრის შესახებ (13. 388-392).

ჩვენი დაკვირვებით, საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგაში, რადგან ამ დროს (1920 წ. ოქტომბერ-დეკემბერში) რუსეთის მხრიდან შეიქმნა საქართველოზე თავდასხმის საფრთხე. თუ საქართველო გახდებოდა ორგანიზაციის წევრი, მაშინ ერთა ლიგის სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ, დახმარება აღმოეჩინათ საქართველოსათვის, ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე. საბჭოთა რუსეთთან კონფლიქტი კი მათ არ სურდათ და ამიტომ არ დაუჭირეს მხარი საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები, რომლებიც მოუწოდებდ-

ნენ ერთა ლიგის წევრებს, არ მიეცათ ხმა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებისათვის*.

დოკ. № 1

ერთა ლიგისადმი გაგზავნილი საქართველოს მემორანდუმი**

დადგა რა დასავლეთ დემოკრატიის დროშის ქვეშ საქართველოს ხალხი ბუნებრივად განსაკუთრებული სიმპათიით ეპყრობა ისეთ პოლიტიკურ სისტემის შექმნის იდეას, რომელიც არის პირდაპირი შედეგი ომისა და რომელიც ამავე დროს არის საშუალება, რათა მომავალში აიცილოს კაცობრიობამ თავიდან ომის წარმოშობა. ერთა ლიგა, რომელიც ასეთს სისტემას შეიცავს წარმოადგენს საუცხოო მიღწევას თავისი ნაყოფიერებით, რათა კაცობრიობამ მიაღწიოს მომავალში სრულ კავშირს. აღძრავს რა შუამდგომლობას ერთა ლიგაში მიღების შესახებ, საქართველო სრულიად არ ხელმძღვანელობს სურვილით მიიღოს აქედან რაიმე უპირატესობა, პოლიტიკური, ან სხვა რაიმე სახისა, საქართველოს სურს მხოლოდ იცნოს გაერთიანებულმა ერებმა ის დიდი მუშაობა, რომელიც მიმართულია თავისუფლების და დემოკრატიულ წყობილების დამყარებისაკენ. გარდა ამისა საქართველოს მხურვალე და გულწრფელი სურვილი არის მიიღოს თავიდანვე მონაწილეობა ლიგის საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მთლიანობის განმტკიცებისაკენ.

საქართველოს სურს მიიღოს თავის თავზე რამდენადაც ეს მას შეუძლია ნაწილი ამ მუშაობისა. საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა იძლევა ისეთ პირობებს, რომ მის ხალხს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო საზავო პოლიტიკაში, რომლის განხორციელებულ ორგანოთ ხალხთა ლიგა ითვლება. ლიგა მით უმეტეს ძალას მიიღებს, რაც უფრო გულწრფელად და აქტიურად შემოიერთებს იმ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ გავლენა სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებრივ აზრზე და უხელმძღვანელონ მას.

---

* საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიაში მეტად აქტიურად მოქმედებდა. 1920 წლის აპრილის ბოლოს წითელი არმიის დახმარებით, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ხოლო 29 ნოემბერს – სომხეთში. ცხადია, ამ ქვეყნების გასაბჭოების შემდეგ, ისინი არ მიიღეს ერთა ლიგაში. ასევე უარი ეთქვათ ერთა ლიგაში უკრაინასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

** გაზეთი „საქართველო", 1920, 7.12.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგის ავტორიტეტის იმ ქვეყნებში განმტკიცებას, რომლებსაც ან თავიანთი გეოგრაფიული მდგომარეობით, ან პოლიტიკური პირობებით შეუძლიათ გახდნენ სხვადასხვა გართულების კერად, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია მოახდინოს გავლენა და გავრცელდეს ევროპის პოლიტიკურ მთლიან ცხოვრებაში. არ იქნება გადამეტება მტკიცებაში, რომ ასეთ პირობებში იმყოფება სწორედ კავკასიის ველი. პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკათა სიმტკიცე (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) არის აუცილებელი პირობა ახალი ოსმალეთის და სპარსეთის თავისუფალი განვითარებისა, ვინაიდან ამ გზით აღნიშნული სახელმწიფოები განთავისუფლებული იქნებიან გარეშე მტრების შეტევის მუდმივ მუქარისაგან. კავკასიის ველის სახელმწიფოთა სიმტკიცე საჭიროა იმიტომაც, რომ აზიის წინა ნაწილი არ გახდეს მსხვერპლი მეტოქეობისა და ჯიბრისა.

ამიერკავკასიის მიზანი საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც ეს გამოკვლეულია არის იმ გავლენათა და ბატონობის სფეროების ჩამოშორება, რომლებშიაც არის ტენდენცია კონფლიქტის გამწვავებისაკენ მიმართული. ამ მხრით ამიერკავკასიის სახელმწიფოთა გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველო არის ამიერკავკასიის ერთი უმთავრესი ნაწილი და ნათელი გახდება, რომ საქართველოს მიღება ერთა ლიგაში გაუადვილებს მას /ერთა ლიგას/ ამიერკავკასიის პოლიტიკის წარმოებას და ამავე დროს ასწევს თვით ლიგის ავტორიტეტს ამიერკავკასიაში, სადაც ამ ავტორიტეტის გამტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება.

არსებობს კიდევ მეორე შეხედულება ამ პრობლემაზე, რომლის ძალით საკითხი ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შესახებ და აგრეთვე საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ ხდება საერთაშორისო საკითხი: ეს არის მიმოსვლის იმ გზების მნიშვნელობა, რომლებიც მოდიან საქართველოზე სპარსეთში, სომხეთში და შუა აზიაში. ცოტაა ისეთი საავჭრო გზები, რომლებსაც ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც არის გზა, რომელიც მოდის ამიერკავკასიით და აერთებს დასავლეთს ახლო მდებარე და შუა აზიის სხვადასხვა ქვეყნებთან.

ამ გზის საერთაშორისო ხასიათის დასაცავად მომავალში და მის გამოსაყენებლად საუკეთესო გარანტია იქნება ის დახმარება, რომელსაც ერთა ლიგა მისცემდა ამიერკავკასიის ქვეყნებს; საქართველოს ერთა ლიგაში შესვლა კი ამ მიზანს მეტად გააადვილებდა. მეორე მხრით, როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ერთა ლიგის მთავარი მიზანი იქნება მოწყობა და გაუმჯობესება გზებისა და სხვა ერებს შორის. ამიერკავკასიის ქვეყნები და კერძოდ საქართველო უცხოელთა ბატონობიდან განთავისუფლებული გამოადგება ლიგას დასაყრდნობ საფუძვლად აღმოსავლეთში.

კავკასიის საკითხის ასეთი საბოლოო გადაწყვეტა, რომელიც ეთანაბრება ერთა ლიგის მოქმედების საფუძვლად დადებულ პრინციპებს, გაადვილებული იქნება მეტად საქართველოს ერთა ლიგაში მიღებით, იმ საქართველოსი, რომლის მდგომარეობა და წინანდელი როლი უზრუნველყოფს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გარდა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისა, საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ თვით პრინციპები, რომლებმაც უნდა მოანესრიგონ საერთაშორისო ცხოვრება სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვენ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი ერის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში, და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდათ, უნდა იქნეს მიღებული ის ერი, რომელიც მიისწრაფის თავისუფალ შრომისაკენ თავის სახლში, რომელიც არის მისი კანონიერი და უდავო მემკვიდრეობა.

დოკ. № 2

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის ინტერვიუ, მიცემული საფრანგეთის პრესის წარმომადგენლებისათვის საქართველოს ერთა ლიგაში მიღებასთან დაკავშირებით*

ერთა ლიგის პირველსავე სხდომაზე ნათელი შეიქმნა, რომ მიუხედავად აზრთა სხვაობისა, ლიგაში შემავალ სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ერთდებოდნენ ერთ რამეში; ერთა ლიგის ძალა უნდა გამოიხატებოდეს მის უნივერსალობაში, ე. ი. იმაში უნდა შევიდეს ყველა სახელმწიფო – დიდი და მცირე, ძლიერი და სუსტი. ამასთანავე ერთადერთ კრიტერიუმად ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთა ლიგაში ჩარიცხვისა. უნდა არსებობდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის სახელმწიფო და შეუძლია თუ არა მას აღასრულოს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. მე შეძლება მქონდა გამერკვია სხვადასხვა ქვეყნის დელეგატთა დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი. არც ერთ მათგანს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს ნამდვილ სახელმწიფოს და რომ მას სათავეში ყავს პასუხისმგებელი მთავრობა, ხალხის მიერ არჩეული და, რომელსაც შეუძლია თავს იდვას საერთაშორისო ხასიათის ვალდებულებანი. ჩვენ გვაქვს ათასი წლების ისტორია. ძველმა კულტურამ შეძლება მისცა ჩვენს ხალხს, რომ მას საშინელი განსაცდელის დროს შეენარჩუნებინა თავისი არსებობა და რლვევის ქაოსში დაემტკიცებინა თავისი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები. აი უკვე სამი წელია, რაც ჩვენ ვმუშაობთ და მთელ ჩვენს

* გაზეთი „საქართველო", 1920, 7.12.

ძალლონეს ვანდომებთ სახელმწიფოს განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს. ეს შრომა ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ამ გზაზე ბევრი რამ არის უკვე გაკეთებული. ჩვენ შევძელით დაგვემყარებინა ჩვენს ქვეყანაში ძლიერი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის აპარატი; განვამტკიცეთ წესრიგი და ხალხს მივეცით თავისუფლება და მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა. ჩვენ მეგობრული დამოკიდებულება დავამყარეთ ყველა ჩვენ მეზობელთან და მათთან დავდეთ შეთანხმებანი საზღვრების საკითხთა შესახებ; ჩვენ შევძელით ის, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა დე ფაქტო იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, დავიცავით ეკონომიური დამოუკიდებლობა ევროპის კულტურულ ქვეყნებთან და სავაჭრო წრეების ნდობა მოვიპოვეთ.

ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც მონმე იყვნენ ადგილობრივ ჩვენი მუშაობისა, კარგად იციან თუ რა მნიშვნელოვანი და საპატიო მისია აწევს საქართველოს წესრიგისა, თავისუფლებისა და უფლებათა დაცვის საქმეში აზიის ალაყაფის კარიბჭესთან. მართალია, არსებობენ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მოწინააღმდეგენი, მაგრამ საქართველოს ერთა ლიგაში მიუღებლობა ნიშნავს ხალხის თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპის უარყოფას. მე არა მსურს მოვიტანო ის მოტივები, რომ საქართველოს ცნობა საჭიროა ევროპის სახელმწიფოებისათვის. საქართველო უნდა ჩაირიცხოს ერთა ლიგაში არა პოლიტიკური ანგარიშების მიხედვით. საქართველოსათვის ეს არის უფლების საკითხი. ჩვენი უფლება დავიცავოთ ადგილი ყველა კულტურული ხალხის კავშირში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ცივილიზაციისა და მშვიდობის დაცვა და ამ უფლებამ არავითარი ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს.

ლიტერატურა

1. ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ. 1929.
13. გაზ. „ერთობა". 1990 წლის ოქტომბერ-დეკემბერი.
2. ზურაბ ავალიშვილის ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხზე. ქართული დიპლომატია. ქრესტომათია. თბ. 2004.
4. აკაკი ირემაძე. განთიადის სათავეებთან. თბ. 1982.
5. ს. კილაძე. საქართველო და ერთა ლიგა. „საისტორიო ვერტიკალები". №1. 1991.
6. ნესტან კირთაძე. ევროპა და დამოუკიდებელი [illegible] თბ. 1997.
10. ვლადიმერ ლენინი. თხზულებანი. 41.
7. ალექსანდრე მუჯირი. დემოკრატიული საქართველო და ერთა ლიგა. „დრო". 7. 1992.
12. გაზ. „საქართველო". 1920 წლის ოქტომბერ-დეკემბერი.

14. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 1920 წლის ოქტომბერ-დეკემბერი.
15. გაზ. „სახალხო საქმე". 1920 წლის ოქტომბერ-დეკემბერი.
8. **მიხეილ სვანიძე.** დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის. ქართულ დიპლომატია. წელინდეული. 7. თბ. 2000.
11. **აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე.** საქართველოს ისტორია 1783-1990. თბ. 1991.
3. **გიორგი შარაძე,** საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბ. 2003.
9. **ნ. ჩხეიძე.** წერილი ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს და კრებას. ქართული დიპლომატია. ქრესტომათია. თბ. 2004.
16. **Афанасьев В.** Краткий очерк истории Лиги наций. М. 1949.
17. Документы внешней политики СССР. III. М. 1948.
18. История дипломатии. III. М.-Л. 1945.
19. **Кольский А.** Лига Наций. М. 1934.
20. Лига Наций. Советская историческая энциклопедия. М. 1965.